# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

**№1**

ქალაქი ქუთაისი 13 აგვისტო 2018 წელი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| გიორგი იობაშვილი | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი. |
| იუზა უგულავა | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. |
| დავით ნიშნიანიძე | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი. |
| ბექა ყურაშვილი | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი. |
| რუსუდან ჩინჩალაძე | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე. |
| ცისმარდი მაღლაფერიძე | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი. |
| ირაკლი ადეიშვილი | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი. |

სხდომას არ ესწრებოდა: – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, კომისიის წევრი, ირაკლი გიორგაძე, შვებულებაში ყოფნის გამო.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: აუქციონის გარეშე ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქალაქ ქუთაისში, მწვანე ყვავილას ქუჩის №80-თან საყრდენი კედლის მოწყობის და მწვანე ყვავილას ქუჩაზე, გუმათი 2-თან გზის გამაგრებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 86294 (ოთხმოცდაექვსი ათას ორას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი) მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სატენდერო კომისიის წევრის დავით ნიშნიანიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა აუქციონის გარეშე ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქალაქ ქუთაისში, მწვანე ყვავილას ქუჩის №80-თან საყრდენი კედლის მოწყობის და მწვანე ყვავილას ქუჩაზე, გუმათი 2-თან გზის გამაგრებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 86294 (ოთხმოცდაექვსი ათას ორას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი) მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს აუქციონის გარეშე ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი,

2) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აუქციონის გარეშე ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: https://tenders.procurement.gov.ge.

3) წინამდებარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე–6 მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად ატვირთული იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იობაშვილი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: იუზა უგულავა

კომისიის წევრები:

დავით ნიშნიანიძე

ბექა ყურაშვილი

რუსუდან ჩინჩალაძე

აპარატის წევრები:

ცისმარდი მაღლაფერიძე

ირაკლი ადეიშვილი